

საგადახდო დავალება
Payment Order

GEL
თარიღი / Date: 25/06/2014

ს.ს. "თიბისი ბანკის" მთავმინდის
სერვისცენტრი #2
რეფერენსი / Ref. Num.

გადამხდელი / Sender	
ქველვისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საკითხების საერთ.საბჭოს საქ-ოს - 203863756	
გადამხდელის ანგარიში / Sender's Account	GE51TB0700000000700024
გადამხდელის ბანკი / Sender's Bank	ბანკის კოდი / Bank Code
სს თიბისი ბანკი	TBCBGE22
ინფორმაცია პირზე, რომლის ძაგვირადაც სრულდება გადახდა Information on a person on behalf of whom the payment is made	
დასახელება / Name	ქველვისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საკითხების საერთ.საბჭოს საქ-ოს
საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code	203863756
მიმღები / Receiver	
სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	
მიმღების ანგარიში / სპაზიხო კოდი Receiver's Acc. / Treasury Code	GE52BR0000010591718543
მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury	ბანკის კოდი / Bank Code
სს "ბანკი რესპუბლიკა"	REPLGE22
გადახდის დანიშნულება / Operation Details	
მოსაკრებელი, უნიკალური ნომერი 1270	
დამატებითი ინფორმაცია / Additional Information	

1056790508
თანხა / Amount
50.00 GEL
თანხა სიტყვიერად Amount in words
ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი
შესრულების თარიღი / Operation Date
25/06/2014
ბანკში შემოსვლის თარიღი / Received
25/06/2014
სელმოწერა Signature
შტამპის ადგილი

სელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის სელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

1056790508 6/25/2014 3:06:18 PM კესო ჭიჭალუა

02/106-01

სატენდერო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფა # 28367-2614746

თბილისი

2014 წლის 18 ივნისი

სს "თიბისი ბანკი", წარმოდგენილი მისი ს.ს. "თიბისი ბანკის" მთაწმინდის სერვისცენტრი #2ს ლეილა გურგულიანი, მოქმედებს რა წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, გასცემს წინამდებარე გარანტიას ქვემოთ წარმოდგენილი ძირითადი პირობებით:

გარანტი: პრინციპალი :	სს "თიბისი ბანკი" ბეგლუბისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საკითხების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირი საიდენტიფიკაციო ნომერი: 203863756 რეგ. თარიღი: 08.03.1999 სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
ბენეფიციარი :	600,00 (ექვსასი ლარი) ლარი
გარანტიის თანხა : გარანტიის გაცემის საფუძველი :	ქთბილისი, მაჩაბლის ქ.#13, საქართველოს მწერალთა სახლის რეაბილიტაციის საპროექტო-საბარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მომსახურებისთვის გამოცდავებული კონკურსი
გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება :	"გარანტი" კისრულობს ვალდებულებას ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან ხუთი საბანკო დღის ვადაში გადაუხადოს მას გარანტიის თანხა საგარანტიო წერილის პირობების შესაბამისად.
გარანტიის თანხის მოთხოვნის უფლება:	წერილობითი მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს ს.ს. "თიბისი ბანკის" მთაწმინდის სერვისცენტრი #2ს კანცელარიაში სამუშაო საათებში. "გარანტის" მიერ "ბენეფიციარისათვის" გარანტიის თანხის გაცემა მოხდება შხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი დაირღვა "პრინციპალის" მიერ "ბენეფიციარის" წინაშე ნაკისრი ვალდებულება, რაც გამოიხატება შემდეგში: თუ სატენდერო წინადადებების გახსნის შემდეგ "პრინციპალმა" უარი განაცხადა ტენდერში მონაწილეობაზე, თავისი სატენდერო წინადადების ვადის დასრულებამდე; თუ "პრინციპალი" გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე; თუ "პრინციპალი" დისკვალიფიცირებულ იქნა პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.
გარანტიის მოქმედების ვადა :	გარანტია ძალაში შედის 18.06.2014 და მოქმედებს 27.08.2014 ჩათვლით. მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ "ბენეფიციარის" მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ამ თარიღის ჩათვლით

თუ წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნა, მაშინ გარანტიის მოქმედება წყდება.

წინამდებარე გარანტიაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან ერთად მოქმედებს საერთაშორისო სავაჭრო-საშრეწველო პადატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებზე (პუბლიკაცია #758).

საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ს.ს. "თიბისი ბანკის" მთაწმინდის სერვისცენტრი #2-ის შორენა გოგოლაძე



ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. #13

საქართველოს მწერალთა სახლი

რეაბილიტაციის კვლევითი და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო
დოკუმენტაციის შედგენა

საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების
მენეჯმენტის გეგმა და სტრუქტურა



კავშირის აღმასრულებელი დირექტორი -  ლ. ბოკუჩავა

პრ. ხელმძღვანელი, არქ-რესტავრატორი -  მ. ბოჭოიძე



გეგმების და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს
საქართველოს ეროვნული კავშირი



ICOMOS საქართველო
თბილისი 2014

ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ 2014 წ.-ის სახელმწიფო პროგრამით დაგეგმა თბილისში, მაჩაბლის #13 მდებარე **მწერალთა სახლის** სარეაბილიტაციო სამუშაოთა საკვლევი-საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. შესაბამისად, აღნიშნული შენობის რეაბილიტაციის პროექტის მომზადებისთვის ეროვნულმა სააგენტომ გამოაცხადა კონკურსი **”მწერალთა სახლის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურეობის შესყიდვაზე**.

წინამდებარე, საკონკურსო წინადადება – **” მწერალთა სახლის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა”** - მომზადდა ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირის (ICOMOS საქართველო) მიერ.

თბილისი 0105

ბეთლემის აღმართი 16ბ


Tel/Fax: 995 32 2984527

მობილური: 599 55 16 97

ელ-ფოსტა: icomosge@gol.ge / merab.bochoidze@gmail.com

<http://www.icomosge.org.ge>

საქართველოს მწერალთა სახლი
ადგილმდებარეობა თბილისის რუკაზე



ქ თბილისი, ხოლოდაკი, ივ. მახაბლის ქუჩა №13

1. ძირითადი ინფორმაცია მწერალთა სახლის შესახებ

1.1. კულტუროლოგიული ინფორმაცია

სოლოლაკში, ივ. მაჩაბლის ქუჩაზე, სადაც ერთმანეთზე მჭიდროდ მიდგმული, საკმაოდ მსხვილი მასშტაბის საცხოვრებელი სახლი-ძეგლებისგან უწყვეტი რიგი იქმნება (№№1, 3, 4, 5, 6, 8, 9, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18), ინდივიდუალური გადაწყვეტის მქონე ნაგებობებს შორის თავისი მკაფიო სტილური ნიშნებით, მონუმენტურობით და მშენებლობის მაღალი ხარისხით №13 ნაგებობა გამოირჩევა. ეს შენობა დღეს მწერალთა სახლს წარმოადგენს.



მაღალი ცოკოლის
სართულზე დაფუძნებული და
მანსარდის სართულით
დასრულებული
ორსართულიანი
საცხოვრებელი სახლი
ეკუთვნოდა ცნობილ
საზოგადო მოღვაწეს, ქიმიისა
და ფილოსოფიის დოქტორს,
მეცენატს, ქართული
კონიაკის წარმოების
ფუძემდებელს, ქართველთა
შორის წერა-კითხვის
გამავრცელებელი

საზოგადოებისა და სხვა მრავალ ეროვნულ წამოწყებებთან ჩამოყალიბების მონაწილეს, დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილს (1848–1911).

ივ. მაჩაბლის ქ. №13 სახლი თბილისის ურბანული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ძეგლია და XX საუკუნის შუა წლებიდან შუა საუკუნეების ქალაქის შემომსახდრელი გალავნის გარეთ არსებული სამეფო ბაღების ტერიტორიაზე გაშენებული შექმნილი მოქალაქეების საცხოვრებელი უბნის – სოლოლაკის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაგებობაა. ამასთან ერთად შენობას საგულისხმო ისტორია აქვს: კტიტორმა და თავდაპირველმა მფლობელმა – დავით სარაჯიშვილმა სახლი თავისი ძვირფასი მოწყობილობით, რომლის ღირებულება მაშინ ნახევარ მილიონს უდრიდა, ქალაქის თვითმმართველობას უანდერბა გაღერვის, ან მუზეუმის მოსაწყობად; აუქციონზე გატანილი სახლი თბილისელი მოქალაქეების თხოვნით აკაკი ხოშტარიამ შეიძინა, რომელიც მსგავსად დ. სარაჯიშვილისა, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, დიდი პატრიოტი, მეწარმე და ქველმოქმედი ქართველი იყო. საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ სახლი დამოუკიდებელ ხელოვანთა კავშირს, მოგვიანებით კი საბჭოთა საქართველოს მწერალთა კავშირს გადაეცა, რის შემდეგ მას არაერთი ხელოვანის ბედი და მრავალი ამაღლებული მოვლენა დაუკავშირდა. ყოველივე ამის გამო, შენობა მკაფიო არქიტექტურული და კულტურულ-ისტორიული ფასეულობის გარდა, განსაკუთრებული მემორიალური ღირებულების მატარებელია.

დავით სარაჯიშვილის სახლის მშენებლობა სოლოლაკში, მაშინდელ სერვის ქუჩაზე, 1903-1905 წლებში მიმდინარეობდა. პროექტი დ. სარაჯიშვილს გერმანელ არქიტექტორ კარლ ცაარისთვის დაუკვეთია; არქიტექტორმა შენობის ფასადისა და ინტერიერის დამუშავებაში ამ დროისთვის მოდურ მოდერნის სტილს ბაროკოსა და როკოს არქიტექტურული და დეკორატიული ელემენტები შეუთავსა და საინტერესო მხატვრული კომპოზიცია შექმნა. შენობას ეზოს მხარეს ხის კონსოლებზე შეკიდული აივნები შემოსდევს, რომელიც მოდერნული მოტივებით არის გაფორმებული და ამავე დროს ადგილობრივ ტრადიციასაც ეპასუხება.

დახვეწილი ტექნიკით და გამოწვებით დამუშავებული ხის კაზმულობის დეკორატიული ელემენტები, რაც უხვად არის გამოყენებული ინტერიერში, მის მხატვრულ გაფორმებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და შესრულებულია თბილისელი ოსტატის, ილია მამაცაშვილის ხელით.

ივ. მანაბლის ქ.
№13 ნაგებობა
ხელოვნური ქვით
მოპირკეთებული
გრძელი ფასადით
გამოდის ქუჩისკენ.
კედლის სიბრტყე
არათანაბარი ზომის
რიზალიტებით და
რუსტირებული
ვიგანტური
პილასტრებით არის
დანაწევრებული,
რასაც ზემოთ
ტალღოვანი



ფრონტონები ასრულებს. მრუდხაზოვანი დიობები ასეთივე მოყვანილობის თავსართებით, საპირეებითა და ნიჟარებით არის გაფორმებული.

შენობის შესასვლელი ცენტრალურ ნაწილში განთავსებულ რიზალიტში ჩასმული თაღოვანი პორტალით და მის ზემოთ, დრმა ლოჯიის წინ კონსოლებზე შეკიდული, ლითონის მოაჯირიანი აივნით არის გაფორმებული. მის თავზე, მანსარდის მრგვალი სარკმლის ქვეშ, შენობის აგების თარიღი – 1905 წელია ამოკვეთილი. ამავე ნაწილშია კონცენტრირებული მოდერნის სტილის ნაგებობათა მორთულობისთვის დამახასიათებელი ქანდაკებები: ქალის თავები, მამაკაცის ტორსები და ნიღაბი. ლითონის ჭედური ჭიშკრით დახურული ეზოში შესასვლელი გვირაბი ფასადის მარჯვენა კიდეშია მოწყობილი.

ეზოს მხრიდან შენობას შუაში მკვეთრად გამოხიდული ნაწილი ერთვის, რაც გვემას T-სებრ აბრისს სძენს. ამ მხრიდან მთელ ფასადს კონსოლებზე შეკიდული თბილისური ხის აივანი შემოსდევს, რომელიც მოდერნული მოტივებით არის გაფორმებული. მოზაიკური ფილებით მოგებული ვერანდის, აქ მოწყობილი წყაროსა და ეზოს შემომზღუდავი ნაშენი ღობის გაფორმებაში გამოყენებულ კონტრასტული

ფაქტურების მონაცვლეობასა და სხვა მოტივებში შენარჩუნებულია მოდერნის სტილური ნიშნები და შექმნილია მთლიანობაში გააზრებული, დეტალუბამდე დამუშავებული მხატვრული კომპოზიცია.

მრავალფეროვანი და საყურადღებო ინტერიერის გადაწყვეტა: აქ არის მოდერნული, ბაროკოსა და როკოს სტილის ელემენტებით მდიდრულად გაფორმებული პირველი და მეორე სართულის ფოიეები, დარბაზები, სხვადასხვა დანიშნულების სათავსები, დახვეწილი ოსტატობით შესრულებული კარ-ფანჯრით, კიბის უჯრედი ნაძერწი დეკორით შემკული ჭერით, ამავე სტილის ავეჯით, თანადროული შპალერთა და დეკორატიული ქსოვილით კედლებზე, ბუხრებით და ჭაღებით; არის ასევე სტალაქტიტებიანი აღმოსავლური ოთახები ინკრუსტირებული ჭერითა და კარნიზებით. შენობის დიდ ნაწილში შენარჩუნებულია მაღალი ხარისხის თავდაპირველი დეკორატიული პარკეტი, შემორჩენილია ასევე კარის დიობების ფრამუგაში ჩასმული მოდერნულნახატიანი ვიტრაჟები და სხვა საყურადღებო ელემენტები.



12. კონსერვაცია/ბეგლის სტატუსი

შწერალთა სახლის შენობა წარმოადგენს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

2. არსებული მდგომარეობა

2.1. ფიზიკური მდგომარეობა

მწერალთა სახლის შენობა, მიუხედავად ნაწილობრივ უკვე ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოებისა მაინც მძიმე მდგომარეობაშია, წინასწარული შეფასებით შენობის სარდაფის სართული ძლიერ დანესტიანებულია, იგრძნობა უსიამოვნო სუნიც რაც საინჟინრო ქსელებზე პრობლემის არსებობას მიანიშნებს.

მიუხედავად შენობის ფიზიკური მდგომარეობის შედარებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობისა წინასწარული შეფასებით გარკვეულ მონაკვეთებში მაინც აღინიშნება კონსტრუქციული საფრთხეები. მსუბუქი ბზარები, დაზიანებები და დანესტიანება შეინიშნება ახლად გარეწონტებულ (2011-12წწ.) კედლების მონაკვეთებში.

შენობის სარდაფში კედლების ქვედა ნაწილები და საფუძველი ბევრგან დანესტიანებულია, სარდაფის სართული დიდი ხანია გამოუყენებელია და არ ნიავდება, ეს კი დამატებით იწვევს დანესტიანებული კედლების დაობებას;

შენობის პირველ სართულზე ჩატარებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები, აქ მხოლოდ გარკვეულ მცირე ნაწილებშია გაჩენილი ახალი დაზიანებები. გამოფიტულია შიდა კიბის ხის საფეხურები; ბოლო რეაბილიტაციის დროს ამ პრობლემას ეტყობა არ შეხებია.

შენობის მდგომარეობა მძიმეა მეორე და მესამე სართულებზე, აქ სარეაბილიტაციო სამუშაოები არ განხორციელებულა; მხოლოდ ელ-გაცვანილობის და გათბობა-კონდეცირების ქსელია დამონტაჟებული (კვლევა-პროექტირების დროს განხორციელებული ეს საინჟინრო ნაწილიც გადასამოწმებელია).

შენობის ინტერიერებში კარგად შეიმჩნევა გვიანდელი რემონტების კვალები, ოთახებში ბევრგან კედლებზე აკრულია ხის და „დსპ“-ს პანელები და ზედ ქსოვილია ან შპალერია გადაკრული; ამგვარად შესრულებული სარემონტო სამუშაოები არა მარტო არაავტენტური და შეუსაბამო კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაციის პრინციპებთან, არამედ საკმაოდ არაჯანსაღია და იწვევს კედლების დანესტიანების გახანგრძლივებას.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად ჩანს რომ შენობის ინტერიერი რამდენჯერმე არის რესტავრირებული - გადაღებილი, არსებული საღებავის ფენებზე აღინიშნება შემდეგი დაზიანებები:

- ბათქაშის და საღებავის დანაკარგები;
- ბათქაშის და საღებავის ზედაპირული ბზარები;
- დარღვეულია ჭერის ზედაპირის ვიზუალური მხარე;

2011-2012 წლებში შენობაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა, რომელიც ძირითადად პირველი სართულის სათავსებს, ვერანდის მოზაიკურ იატაკს და გადახურვას შეეხო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წყლის ჟონვა შენობის

მარჯვენა ნაპირა ნაწილში (პირით ეზოს ფასადისკენ დგომისას) და სარდაფის სართულში ვერ იქნა აღმოფხვრილი, რაც თანდათან ამძიმებს ფიზიკურ მდგომარეობას და საფრთხეს უქმნის მას.

მიუხედავად მძიმე ფიზიკური მდგომარეობისა და წინა წლებში განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოებისა, რის გამოც ნაგებობამ გარკვეული ცვლილებები განიცადა, შემორჩენილი საარქივო ფოტო მასალითა და ძეგლზე შემორჩენილი კვლების სკურპულოზური შესწავლით შესაძლებელია სრულყოფილი სარესტავრაციო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება.

2.2 მეპატრონეობა

თბილისი, მაჩაბლის ქუჩა #13-ში მდებარე შენობა წარმოადგენს 1903-1905 წელს გერმანელი არქიტექტორის კარლ ცაარის პროექტით აშენებული ცნობილი მეწარმისა და მეცენატის - დავით სარაჯიშვილის საცხოვრებელ სახლს, რომელიც თავის მხრივ დიდი ისტორიის მატარებელია. დავით სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ შენობა უდიდესმა მეცენატმა აკაკი ხოშტარიამ შეიძინა.

1921 წლის თებერვალში, პაოლო იაშვილის თაოსნობით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და რევკომის დადგენილებით შენობა ქართველ მწერლებსა და ხელოვნების მოღვაწეებს გადაეცათ. მას შემდგომ შენობა მწერალთა კავშირის სახლს წარმოადგენს.

2.3. ძეგლის კონსერვაციული მდგომარეობა

2.3.1. ავთენტურობა

მიუხედავად რთული ისტორიისა და ამასთან დაკავშირებული მრავალი დანაკარგისა, ძეგლი იმ იშვიათ ობიექტებთა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც თავდაპირველი გადაწყვეტის მთლიანობა და ავთენტურობა მეტნაკლებად მოღწეულია ჩვენამდე.

წინასწარული დათვალიერების საფუძველზე შესაძლოა აღინიშნოს, რომ ძეგლის ფიზიკური ავთენტურობა გვიანდელი შეკეთებებისა და მიმდინარე რემონტების დროს გარკვეულად შელახულია, ეს ძირითადად შეეხება ინტერიერის კედლების ზედაპირების სხვადასხვა პერიოდში არაერთხელ შეკეთება-რემონტს; თუმცა გადარჩენილია და ძირითადად პირვანდელი სახით შემორჩენილ მდგომარეობაშია ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციები და არქიტექტურული დეტალები, შესაბამისად ნაგებობის კონსერვაციული მეთოდოლოგია ნორმებში ჯდება ხოლო კედლების ზედაპირების თავდაპირველი ფერისა და ხასიათის დადგენა ადგილზე კვლევის სერიოზულ სამუშაოს მოითხოვს და სარეაბილიტაციო სამუშაოების გადაწყვეტისას აუცილებელ და მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს.

2.3.2. კვლევა/ჩატარებული სამუშაოები

2011-12 წლებში თბილისის განვითარების ფონდის მეშვეობით შესრულდა სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების ნაწილი, კერძოდ განხორციელდა ფასადების რესტავრაცია და სარესტავრაციო სამუშაოები პირველ სართულზე, ამ პერიოდში ფონდიდან სახელოვნებათმცოდნეო საქმიანობით ჩართული იყო ხელოვნებათმცოდნე დავით ხოშტარია. ამავე პერიოდში განხორციელდა შენობის სადარბაზოს ინტერიერის მოხატულობისა და პირველი სართულის ცენტრალური ვესტიბულის ჭერის რეკონსტრუქცია (შემსრულებლები: ილარიონ მსხილაძე, კახა ჩხაიძე და ვარლამ ჯმუხაძე).

2.3.3. პროფესიული დოკუმენტაცია

პროფესიული დოკუმენტაცია მწერალთა კავშირის სახლზე არ იძებნება; 2011-12 წლებში თბილისის განვითარების ფონდის მიერ სამუშაოების განხორციელებისას შესრულდა გეგმების სქემატური ანაზომი, რომელიც დაცულია მწერალთა კავშირში, აქვეა დაცული ფრიად საინტერესო და უაღრესად მნიშვნელოვანი დ. ერმაკოვის მიერ გადაღებული ისტორიული ფოტოდოკუმენტაცია.

3. რეაბილიტაციის პროექტის მომზადება

3.1. ზოგადი მეთოდოლოგია

ძეგლის რეაბილიტაციის საკვლევი და საპროექტო სამუშაოები დაეფუძნება კონსერვაციული მეთოდოლოგიის ძირეულ პრინციპებს. გარდა ისეთი ფუნდამენტური სახელმძღვანელო პრინციპებისა, როგორცაა ვენეციის ქარტია (1964); ბურას ქარტია (1997 განახლებული 1999); ძეგლების, შენობათა ჯგუფების და ღირსშესანიშნაობათა აღნუსხვის პრინციპებს (1996), რეაბილიტაციის მეთოდოლოგიის შემუშავებისას ზედმიწევნით იქნება გათვალისწინებული ისეთი სპეციფიური ქარტიები და რეკომენდაციები, როგორცაა ნარას დოკუმენტი ავთენტურობაზე (1994).

პირველ რიგში მოხდება ამჟამინდელი მდგომარეობის შესწავლა-შეფასება და ნაგებობის მდგომარეობის სტაბილიზაცია-რეაბილიტაციისათვის აუცილებელი სამუშაოთა განსაზღვრა.

ძეგლის ფიქსაციისთვის გამოყენებული იქნება როგორც ტრადიციული მეთოდით-ხელით ზომვა, ასევე გამოყენებული იქნება შენობის ექსტერიერისა და ინტერიერების ლაზერული სკანირება და შემდგომ ციფრულ ფორმატში მისი გამოხაზვა.

საკვანძო მონაკვეთებში და არქიტექტურულ დეტალებზე შესრულება ფერის კვლევის თვალსაჩინო ტესტირებები და დამუშავდება რეკომენდაციები (ეს სამუშაო განხორციელდება ნორვეგიული გამოცდილების სერთიფიცირებული შესწავლის საფუძველზე). ასევე შესრულება შენობის ინტერიერში კედლების მოხატულობისა და დეკორატიული ჭერის ფიზიკური მდგომარეობის განსაზღვრა და მათი რეაბილიტაციარესტავრაციის პროექტის დამუშავება.

შენობის სირთულის, მაღალმატვრული ინტერიერებისა და მოზაიკური იატაკების მძიმე მდგომარეობის გამო პროექტში გათვალისწინებული გვაქვს უცხოელი ექსპერტის მონაწილეობა (ქ-ონი დანიელა გენნარი, კონსერვაციისა და რესტავრაციის ინსტიტუტი, მოზაიკის და სტუკოს ლაბორატორია, რომი; იხ- CV.) კონსულტანტის რანგში. ეს დამატებით საშუალებას მოგვცემს რათა კვლევა-პროექტირების დროს მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული საერთაშორისო გამოცდილება.

შექმნილ ვითარებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს სრულყოფილი კვლევითი სამუშაოების ჩატარებას, რაც საფუძველად დაედება ერთიანი რეაბილიტაციის განხორციელებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი განსაკუთრებული თვალსაჩინოებითა და მაღალმატვრულობით გამორჩეული ამ ნაგებობის ჯეროვანი შენარჩუნება. შენობის პროექტირების და ფიზიკური სამუშაოების განხორციელების ეტაპებზე ძეგლის დეტალურ ფოტო და გრაფიკულ ფიქსაციასა, ლაზერულ სკანირებასა, ნატურაში კვლევისა და ბიბლიოგრაფიული მასალის თავმოყრა-შესწავლასთან ერთად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს დიმიტრი ერმაკოვისეული ფოტო-ალბომი, რომელიც აქვე, მწერალთა სახლში ინახება და აჩვენებს ნაგებობის არქიტექტურულ სახეს, ექსტერიერსა და ინტერიერის მოწყობას მისი აშენების მომდევნო წლებში.

ამას გარდა, სასურველი საბოლოო შედეგის მისაღწევად განმსაზღვრელი იქნება მაღალი ხარისხის, ძვირადღირებული ტრადიციული მასალის გამოყენება და გარეგნულ ეფექტებზე ორიენტირებული მიდგომებისა და იაფფასიანი მასალით იმიტაციური მეთოდის გამორიცხვა. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი გამორჩეული არქიტექტურულ-ურბანული და კულტურულ-ისტორიული ძეგლის განსაკუთრებული ფასეულობის შენარჩუნება, რომელიც ერთის მხრივ აცოცხლებს XX ს-ის დამდეგ ეპოქას და ამავე დროს, სავსებით პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების წარმატებული განხორციელება ძირეულად არის დამოკიდებული საავტორო საზედამხედველო სამუშაოების აქტიურ თანამშრომლობაზე, რომელიც უნდა განხორციელდეს პროექტის მიხედვით ჩასატარებელი ფიზიკური სამუშაოების სრულ პროცესზე.

3.2. სამუშაო გეგმა

I ეტაპი

- განმარტებითი ბარათი პრობლემის დეტალური აღწერით;
- საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა - მ. 1:2000 ან 1:1000;
- ტოპოგრაფიული გეგმა - მ. 1:500;
- სისტემატიზირებული ფოტომასალა (საერთო ხედები, ფასადები, ინტერირი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ფრაგმენტები და დეტალები, დაზიანებების ამსახველი ფოტომასალა და ა.შ.);
- არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები რეალური მდგომარეობის ასახვითა და ლოკალური დაზიანებათა დატანით (კროკები; ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით, მაშტაბში გამოხაზული ნახაზები; არქიტექტურული დეტალები, (ხის, ლითონის, ქვის ელემენტები), მცირე არქიტექტურული ფორმები, შაბლონები, ტექსტური აღწერილობა);
- ლაზერული სკანირების შედეგად მიღებული კოორდინატთა სისტემაში დარეგისტრირებული წერტილოვანი ციფრული ანაზომი ელექტრონულ ფორმატში;
- კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემები და ტექსტური აღწერილობა;
- შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და საინჟინრო კომუნიკაციების არსებული ქსელის მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები (მწერალთა სახლისა და მის მიმდებარე შენობების საინჟინრო ქსელის მდგომარეობის აღწერა და შეფასება საპროექტო შენობასთან მიმართებაში);
- მიწის სამუშაოთა შესრულების შემთხვევაში მოხდეს არქეოლოგიური მეთვალყურეობა;
- შენობის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა; ტექნიკური ანგარიშის დასკვნისა და რეკომენდაციების მომზადება;
- სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები;
- კედლისა და არქიტექტურული დეტალების ზედაპირის ტესტირება და კვლევა.

II ეტაპი – საპროექტო სამუშაოები

- საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილი: განმარტებითი ბარათი პრობლემების გადაჭრის გზები და მეთოდოლოგიის დასაბუთება; რეაბილიტაცია-რესტავრაციის პროექტი: გენერალური გეგმა, სამუშაო ნახაზები, ფრაგმენტები და დეტალები, სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობების და გამოსაყენებელი მასალების მითითებით;
- კონსტრუქციული ნაწილი: განმარტებითი ბარათი, სამუშაო ნახაზები, სპეციფიკაციები;
- საინჟინრო კომუნიკაციების რებილიტაციის პროექტი;

- საჭიროების შემთხვევაში ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარება ნიშნულებით;
- სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია სამუშაოთა ჩატარების კალენდარული გრაფიკით;
- ჩასატარებელი სამუშაოთა ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა;
- კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი;
- კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი.

3.4. პროფესიული რესურსები

იხილეთ დანართი №3 და №4

3.5. რისკის შეფასება

ძეგლის ფუნქციური დატვირთვისა და მაღალმხატვრული ფასეულობის გამო უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ნაგებობის გეოლოგიური და საინჟინრო ქსელების მდგომარეობის კვლევა-შეფასებას და მის საფუძველზე ნაგებობისაგან დანესტიანების კერის მოცილებას. ამ კვლევისა და ჩასატარებელი სამუშაოების ხასიათსა და ეფექტურობაზე ბევრად იქნება დამოკიდებული რეაბილიტაცია-რესტავრაციის მეთოდის შემუშავება და სარეაბილიტაციო ნაწილების წარმატებულად განხორციელება და შესაბამისი ავთენტურობის ხარისხის შენარჩუნება.

ამჟამად შენობის სარდაფის სართული დანესტიანების გამო გამოუყენებელი და უსიცოცხლოა; შესაბამისად უკვე წლებია არ ხდება ვინტილაცია-განიავება და დათბობა. ეს ფაქტი უარყოფითად მოქმედებს შენობის ფიზიკურ მდგომარეობაზე და ამ პროცესების გაგრძელებამ შესაძლოა გამოიწვიოს კონსტრუქციული ნაწილებისა და არქიტექტურული დეტალების სერიოზული ფიზიკური დაზიანება, რაც გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ძეგლს.

ფრიად სარისკოა ღია ვერანდის მოზაიკური იატაკის საკითხი, რომელიც ატმოსფერულ ნალექს ატარებს და მის ქვეშ მდებარე სარდაფის სათავსოებს ანესტიანებს. ეს საკითხი სკურპულოზური შესწავლის და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით, ძალზედ ფრთილად უნდა გადაწყდეს.

თბილისი 24.06.2014

ფოტოალბომი
საქართველოს მწერალთა სახლი



საერთო ხედი მაჩაბლის ქუჩიდან, 2014 წელი



ფასადის ფრაგმენტი, ხედი ქუჩიდან, 2014 წელი

საქართველოს მწერალთა სახლი



ფასადის ფრაგმენტი, ხედი ეზოდან, 2014 წელი



ღია ვერანდა, ხედი ეზოდან, 2014 წელი

საქართველოს მწერალთა სახლი
ლია ვერანდის მოზაიკური იატაკის ფრაგმენტები, 2014წ.



მოზაიკური ფაქტურის ფილები



მოზაიკური იატაკი ცენტრალურ ნაწილში



მოზაიკური იატაკის ნაპირები



შესასვლელი, ხედი კარისკენ, 2014წ.



შიდა კიბის უჯრედი, 2014წ.




შენობის ინტერიერი, II სართულის ოთახი, 2014წ.



შენობის ინტერიერი, II სართულის ოთახი, 2014წ.



ოთახის ფრაგმენტი, 2014



აბაზანის ფრაგმენტი, 2014



სარდაფის სართულის ოთახი, 2014წ.



დეკორატიული ბუხარი, 2014წ.



საერთო ხედი მაჩაბლის ქუჩიდან

ნიკო დადიანის სასახლე
ისტორიული ფოტოები
(ერმაკოვის ფოტოალბომიდან)



ცენტრალური შემოსასვლელი



ღია ვერანდა ეზოს მხარეს

ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. #13

საქართველოს მწერალთა სახლი

რეაბილიტაციის კვლევითი და საპროექტო-სახალხო-საზოგადოებრივი სამუშაოების შედგენის ხარჯთაღრიცხვა.

#	სამუშაოს სახეობა	რაოდ.	საშუალო განაკვეთი	სამუშ. თვე	თანხა ლარი
I ეტაპზე შესასრულებელი საკვლევო-საფიქსაციო სამუშაო შემდეგი შემადგენლობით:					
1	მოსამზადებელი სამუშაო, განმარტებითი ბარათი პრობლემების აღწერით;	1	1800	0.5	900
2	საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური (მ. 1:2000 ან 1:1000) და ტოპოგრაფიული გეგმა (მ. 1:500);	1	1500	0.4	600
3	სისტემატიზირებული ფოტომასალა	1	1500	0.5	750
4	არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები რეალური მდგომარეობის ასახვითა და ლოკალური დაზიანებათა დატანით; მასშტაბში გამოხაზული ნახაზები – მ. 1:50; არქიტექტურული დეტალები – მ. 1:25, 1:20, 1:10;	3	1500	2	9000
5	შენობის ძირითადი ნაწილების ლაზერული სკანირება	2	2500	1	5000
6	ლაზერული სკანირების შედეგად მიღებული კოორდინატთა სისტემაში დარეგისტრირებული წერტილოვანი ციფრული ანაზომი ელექტრონულ ფორმატში;	2	1500	2	6000
7	კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემები და აღწერილობა;	1	1500	0.5	750
8	შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და საინჟინრო კომუნიკაციების არსებული ქსელის მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები	3	1500	0.5	2250
9	საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, ტექნიკური ანგარიშის, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;	1	2000	0.8	1600
10	სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები;	1	1500	1	1500
11	კედლისა და არქიტექტურული დეტალების ზედაპირის ტესტირება და კვლევა.	1	2000	1	2000
I ეტაპის ჯამი:					30350

II ეტაპზე შესასრულებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები:

9	საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილი: განმარტებითი ბარათი, გენერალური გეგმა; სამუშაო ნახაზები (მ. 1:50, 1:100), შაბლონები, ფრაგმენტები, დეტალები (მ.: 1:50 ან 1:25 ან 1:20 ან 1:1); სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და მასალის მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე ასევე კრებსით);	4	1500	2	12000
10	კონსტრუქციული ნაწილი: განმარტებითი ბარათი, სამუშაო ნახაზები (მ.- 1:100, 1:50 ან 1:25), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და მასალის მითითებით;	1	1500	1	1500
11	საინჟინრო კომუნიკაციების რეზილიტაციის პროექტი;	3	1500	0.6	2700
12	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია სამუშაოთა ჩატარების კალენდარული გრაფიკით	1	1500	0.35	525
13	ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა	2	1500	0.75	2250
	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი და პასპორტი;	1	1500	0.35	525
	II ეტაპის ჯამი:				18975
	I და II ეტაპის ჯამი:				49325
14	მასალა აღჭურვილობისა და მომსახურების ხარჯი				2580
	ჯამი:				51905
15	ორგანიზაციის ზედნაღები ხარჯი-8%		8%		4152
	ჯამი:				56057
16	განვითარების ფონდი -7%		7%		3924
	სულ ჯამი:				59981

(ორმოცდაცხრამეტათას ცხრაასოთხმოცდაერთი ლარი)

ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საკითხების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირი

კავშირის დირექტორი -  ლია ბოკუჩავა

პროექტის ხელმძღვანელი -  მერაბ ბოჭოიძე

24 ივნისი 2014წ.



ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. #13

საქართველოს მწერალთა სახლი

გასაწევი მომსახურების გეგმა-გრაფიკი ეტაპების მიხედვით

სამუშაო პერიოდი: 01 აგვისტო 2014წ. - 30 ნოემბერი 2014წ.

დასახელება		1.08.14.-31.08.14.				01.09.14.-30.09.14.				01.10.14.-31.10.14.				01.11.14.-30.11.14.			
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
	საკვლევო-საწიქსაციო და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება																
№	I ეტაპი; საკვლევო-საწიქსაციო სამუშაო; დასრულება - 25.10.14.																
1	მოსამზადებელი სამუშაო, განმარტებითი ბარათი პრობლემების აღწერით;																
2	საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური და ტოპოგრაფიული გეგმა;																
3	სისტემატიზირებული ფოტოფიქსაცია: საპროექტო ობიექტის საერთო ხედები, ფასადები, ინტერიერი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ელემენტები, საერთო და ლოკალური დაზიანების ამსახველი ფოტომასალა;																
4	არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები რეალური მდგომარეობის ასახვითა და ლოკალური დაზიანებათა დატანით; მასშტაბში გამოხაზული ნახაზები – მ. 1:50; არქიტექტურული დეტალები – მ. 1:25, 1:20, 1:10;																
5	ლაზერული სკანირება და მის შედეგად მიღებული კოორდინატთა სისტემაში დარეგისტრირებული წერტილოვანი ციფრული ანაზომი ელექტრონულ ფორმატში;																
6	კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემები და ტექსტური აღწერილობა;																
7	შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და საინჟინრო კომუნიკაციების არსებული ქსელის მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები																
8	საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, ტექნიკური ანგარიშის, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება; (ნიკოს სასახლე და დედოფლის სასახლე).																
9	სახელოვნებამცოდნეო კვლევის შედეგები (ბიბლიოგრაფიული და ნატურაში კვლევის ანალიზი და რეკომენდაციები; შესწავლილი მასალის ჩამონათვალი);																
10	კედლისა და არქიტექტურული დეტალების ზედაპირის ტესტირება და სავლე კვლევა.																
	I ეტაპის ჩაბარება - 25.10.2014																

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
არასამეწარმეო იურიდიული პირი (აიპ)
ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საკითხების
საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირი
(საქართველოს "ICOMOS"-ის კავშირი)

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
პრეზიდენტი, პროექტის ხელმძღვანელი: - მერაბ ბოჭოიძე
აღმასრულებელი დირექტორი: - ლია ბოჭუჩავა

პრეტენდენტის იურიდიული მისამართი:
თბილისი 0105, ბეთლემის აღმართი 16-ბ
პრეტენდენტის ფაქტიური მისამართი:
თბილისი 0105, ბეთლემის აღმართი 16-ბ

საიდენტიფიკაციო კოდი: 203863756

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: (995 32) 2984527

ელექტრონული მისამართი: icomosge@gol.ge / merab.bochoidze@gmail.com

ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგარიშსწორების ანგარიში: GE51 TB07 0000 0000 7000 24

2. საკონკურსო წინადადების ფასი: 59981.00ლარი
(ორმოცდაცხრამეტიათას ცხრაასოთხმოცდაერთი ლარი)

3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა:
2014 წლის 27 ივლისის ჩათვლით (არანაკლებ 30 კალენდარული დღე)

4. ავანსის გამოყენების შემთხვევაშისაავანსო თანხის ოდენობა
პროცენტულად: (ავანსს არ ვიყენებთ)

ხელმძღვანელის ხელმოწერა:
აღმასრულებელი დირექტორი:  ლია ბოჭუჩავა

პროექტის ხელმძღვანელი:  მერაბ ბოჭოიძე

24.06.2014წ.



აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებულ საკონკურსო პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

პრეტენდენტი:

ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირი

პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენელი: *ლ. ბოკუჩავა* ლია ბოკუჩავა

22.06.2014წ.



ინფორმაცია

ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საკითხების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირის (ICOMOS საქართველოს) 2008-2014 წლებში განხორციელებულ ანალოგიური მიწოდების შესახებ

2014წ.

თბილისი, დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობის (ყოფილი სინაგოგა) ადაპტაცია (პროექტირება, ზედამხედველობა); დამკვეთი: ა.ი.პ. „ასოციაცია - ატუ“.

2011წ.

თბილისი, ბეთლემის უბანი, „ათეშგა“ - ცეცხთაყვანისცემელთა ტაძრის კონსერვაცია (II ეტაპი), - პროექტირება, ზედამხედველობა; დამკვეთი: ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი.

2011წ.

თბილისი, ბეთლემის უბანი, საცხოვრებელი სახლი „ბეთლემის აღმართი 5“ - რეაბილიტაცია-რესტავრაცია, - პროექტირება, ზედამხედველობა; დამკვეთი: ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი.

2011წ.

თბილისი, სურბნიშნის ტაძრის რეაბილიტაცია-რესტავრაცია (პროექტირება). დამკვეთი: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო პროექტირების თანხა - **21950.00** (ოცდაერთათას ცხრაასორმოცდაათი ლარი)

2010წ.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, ფიტარეთის სამონასტრო კომპლექსის მარნის რეაბილიტაცია (პროექტირება). დამკვეთი: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო პროექტირების თანხა - **18772.00** (თვრამეტიათას შვიდასსამოცდათორმეტი ლარი)

2009წ.

უშგულის თემი, სოფელ ჩაუაშის ნაგებობათა რესტავრაცია-რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია (პირველი ნაწილი) (პროექტირება). დამკვეთი: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო პროექტირების თანხა - **29994.00** (ოცდაცხრაათას ცხრაას ოთხმოცდათოხმეტი ლარი)

2009წ.

თბილისი: ი. მანაბლის ქ. №1 და გ. ლეონიძის ქ. №6 მდებარე საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის პროექტი (ეგზეკუტ, პროექტირება). დამკვეთი: ძველი თბილისის გამგეობა პროექტირების თანხა - **33982-00** (ოცდაცამეტიათას ცხრაასოთხმოცდაორი ლარი)

2009წ.

გურჯაანი, ნატო ვაჩნაძის სახლის რეაბილიტაციის
რეაბილიტაციის პროექტი (პროექტირება).

დამკვეთი: გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა
პროექტირების თანხა – **11724.00** (თერთმეტიათასშვიდახოცდაოთხი) ლარი.

2008წ.

გორის რ-ნი, ატენის სიონის რეაბილიტაციის პროექტის მომზადება
(კვლევა, პროექტირება).

დამკვეთი: საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო
პროექტირების თანხა – **65051.00** (სამოცდახუთიათასორმოცდათერთმეტი) ლარი

2008წ.

აბასთუმანი, ზ. ფალიაშვილის ქ. 24-ში მდებარე დედათა მონასტრის შენობის
რეაბილიტაციის პროექტის მომზადება (კვლევა, პროექტირება).

დამკვეთი: საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო
პროექტირების თანხა – **34290.00** (ოცდაათოთხმეტიათასორასოთხმოცდაათი) ლარი

მერაბ ბოჭორიძე

ICOMOS საქართველოს პრეზიდენტი,
პროექტების ხელმძღვანელი

ლია ბოკუჩავა

ICOMOS საქართველოს
აღმასრულებელი დირექტორი



20. 06. 2014წ.


ზოგადი ინფორმაცია

ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საკითხების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირის (ICOMOS საქართველოს) პროექტში მონაწილე სპეციალისტთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ

თანამდებობა	გვარი, სახელი	განათლება, პროფესია, სამეცნიერო ხარისხი	მუშაობის გამოცდილება
თავმჯდომარე; პროექტების ხელმძღვანელი, არქიტექტორ-რესტავრატორი	ბოლოძე მერაბი	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; არქიტექტორ-რესტავრატორის დიპლომი.	-საქართველოს "იკომოსი"-ს კავშირი, პრეზიდენტი (2014წ.); -საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, გენერალური დირექტორი (2013წ.); -საქართველოს "იკომოსი"-ს კავშირის პრეზიდენტი და აღმასრულებელი დირექტორი (2003-2012); -საქართველოს "იკომოსის" კავშირის გენ-მდივანი (1994-2002); -ძეგლთა დაცვის სამმართველოს ინფორმაციისა და საერთაშორისო ურთიერთობათა დპარტამენტის უფროსი (1996-2002); -ძეგლთა დაცვის სამმართველოს ხუროთმოძღვრული რესტავრაციის მემკვიდრეობის ცენტრი, საპრ. ჯგ. უფროსი (1992-1996); -ძეგლთა დაცვის სამმართველოს საპროექტო ინსტიტუტი არქიტექტორ-რესტავრატორი (1982-1982).
გენ-მდივანი, არქიტექტორ-რესტავრატორი	ცინცაბაძე ნატო	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; არქიტექტორ-რესტავრატორის დიპლომი; MA იორკის უნივერსიტეტი (ინგლისი)	საქართველოს "იკომოსის" კავშირის გენ-მდივანი (2002-დღემდე); საქართველოს "იკომოსის" კავშირი (1996-2002); ძეგლთა დაცვის სამმართველოს ინფორმაციისა და საერთაშორისო ურთიერთობათა დპარტამენტი (1996-2001); ძეგლთა დაცვის სამმართველოს საპროექტო ინსტიტუტი არქიტექტორ-რესტავრატორი (1987-1996).
წამყვანი სპეციალისტი; არქიტექტორი	ბოკუჩავა ღია	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; არქიტექტორის დიპლომი	საქართველოს "იკომოსის" კავშირი (2002-დღემდე); ძეგლთა დაცვის სამმართველოს/დპარტამენტის მთ. სპეციალისტი (1997-2004); ძეგლთა დაცვის სამმართველოს სამეცნიერო-საწარმოო ინსტიტუტის არქიტექტორ-რესტავრატორი (1979-1989).

წამყვანი სპეციალისტი; არქიტექტორ-რესტავრატორი	მასხათელაშვილი ეთერი	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; არქიტექტორ-რესტავრატორის დიპლომი	საქართველოს "იკომოსის" კავშირი (1999-2009) ძეგლთა დაცვის სამმართველოს სამეცნიერო-საწარმოო ინსტიტუტის არქიტექტორ-რესტავრატორი (1984-1999).
წამყვანი სპეციალისტი	კველიშვილი ირაკლი	საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი; ინჟინერ-კონსტრუქტორის დიპლომი	თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერი, 1972-1978წ; "თბილქალაქპროექტი" საინჟინრო განყოფილება, კონსტრუქტორი. (1976-1978); საქართველოს "იკომოსის" კავშირი 2007-2010.
წამყვანი სპეციალისტი, ხელოვნებათმცოდნე	სურამელაშვილი მანანა	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი	-გაუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტ.და ძეგლთადაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (2006-დღემდე). -საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, მთავარი სპეციალისტი მეთოდოლოგიურ საკითხებში (2013წ). -ძეგლთა დაცვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (1994-2006); -ძეგლთა დაცვის სამმართველოს სამეცნიერო-საწარმოო ინსტიტუტის მთ. სპეციალისტი (1985-1993).
უფროსი სპეციალისტი; არქიტექტორი	შარტავა ლაშა	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; არქიტექტორის დიპლომი	საქართველოს "იკომოსის" კავშირი, არქიტექტორი; (2008-2014წ.)
უფროსი სპეციალისტი (კომპიუტერული გრაფიკა)	ჩხაიძე თამაზი	თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი; ინფორმატიკის სპეც-ის დიპლომი	საქართველოს "იკომოსის" კავშირი (1999-დღემდე); გაზეთი "24 საათი", ტექნიკური განყოფილების უფროსი (2002- 2012); ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ტექნიკური განყოფილების უფროსი (1996-1999).
უფროსი სპეციალისტი	ნინოშვილი ლელა	ქ.თბილისი აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია 2004-2008, 2009-2010;	საქართველოს "იკომოსის" კავშირი (2012-დღემდე); ევროკავშირის პროექტის "რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის" ასისტენტი.

ICOMOS საქართველოს პრეზიდენტი,
პროექტების ხელმძღვანელი

 მერაბ ბოკობიძე



ICOMOS საქართველოს
ადმასრულებელი დირექტორი

 ლია ბოკუჩავა
20. 06. 2014წ.

CURRICULUM VITAE

მერაბ ბოჭოიძე
არქიტექტორ-რესტავრატორი
შ. ნუცუბიძის ქ. №131, 0186 თბილისი
ტელ.: (+995 32) 298 45 27
მობ.: 599-55 16 97

ელ-ფოსტა: icomosge@gol.ge / merab.bochoidze@gmail.com

განათლება

- 1962-1972 თბილისის 126-ე საშუალო სკოლა
1972-1978 თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია,
არქიტექტურის განყოფილება
არქიტექტორ-რესტავრატორის დიპლომი

